



N 13/3

2018 წლის 19 მარტი

შინაგან საქმეთა სამინისტროს,  
შპს „აგარის შაქრის კომპანიის“  
დირექტორის, ალხან ალიზადას

მიმართვა საპატრულო-სახანძრო დახმარების აღმოჩენის შესახებ

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 01 ნოემბრიდან აგარის შაქრის კომპანიის ქარხანა არის კონსერვაციაზე, რის გამოც კომპანიამ ქარხნის თითოეულ თანამშრომელთან შრომითი ურთიერთობა შეწყვიტა შრომის კოდექსის შესაბამისი მოთხოვნების სრული დაცვით და გასცა კანონით დადგენილი კომპენსაციები.

ბოლო 3 (სამი) კვირის განმავლობაში ყოფილი დასაქმებულები ქარხნის ადმინისტრაციული შენობის წინ მართავენ სადღეღამისო დემონსტრაციულ აქციებს და ავრცელებენ მოთხოვნის შემცველი შინაარსის მუქარებს. იყო შემთხვევები, როდესაც აქციის მონაწილეები ქარხანაში და ქარხნის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე შესვლას უბლოკავდნენ კომპანიის არსებულ თანამშრომლებს, გარდა ამისა, ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამუდმებით ანთია ცეცხლის კოცონი, რამაც შესაძლოა გაუფრთხილებლად თუ განზრახ სამომავლოდ გამოიწვიოს რაიმე სახის ზიანი როგორც ქარხნისთვის, ასევე მისი მიმდებარე ტერიტორიისთვის.

2018 წლის 18 მარტს სამაუწყებლო კომპანია იბერია ტვ-ს ეთერში გადაცემა „X ზონა“-ში გავიდა გადაცემა, სადაც ნათლად იკვეთება ყოფილი თანამშრომლების პოზიცია და მათი მოთხოვნის შემცველი მუქარები, მათ შორის მუქარა გამოიხატება მესაკუთრისა და კანონიერი მფლობელისათვის საკუთრების უფლების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობის აღკვეთაში, კერძოდ მათ გააჟღერეს რომ გარდა ქარხნის ამუშავების მიზნისა, სხვა მიზნით მოსულ ინვესტორს თუ ახლანდელ მფლობელს ტერიტორიაზე არ შეუშვებენ, მოაწყობენ სასაწყობე-მეურნეობის ბლოკადას და არავის მისცემენ უფლებას ისარგებლოს ქარხნის ტერიტორიით, ამასთან ითხოვენ სამუშაოზე აღდგენას და ქარხნის ამუშავებას და აცხადებენ რომ თუ აღნიშნული შესაძლებლობა ქარხნის ახლანდელ მფლობელს არ გააჩნია, მაშინ ქარხანა სამართავად გადაეცემა მათ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს კანონიერი მფლობელისა და მესაკუთრის კანონით მინიჭებული უფლებების დარღვევის მოსალოდნელი საფრთხე, ამასთან

ყურადსაღებია ქარხნი მიმდებარე ტერიტორიაზე მუდმივად დანთებული ცეცხლის კოცონი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ააღება და ქარხნის ან/და მიმდებარე ტერიტორიაზე ხანძრის გაჩენა.

სამომავლოდ სავალალო შედეგების თავიდან აცილების მიზნით, გთხოვთ აღმოგვიჩინოთ შესაბამისი დახმარება, კერძოდ აქციების მიმდინარე პერიოდში გაამლიეროთ პატრულირება ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე და გამოყოთ სათადარიგო სახანძრო მანქანა, ასევე გთხოვთ საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა ზეპირსიტყვიერი მიმართვით აცნობონ ყოფილ დასაქმებულებს მათ მიერ კანონის დარღვევის ფაქტის შესახებ და განუმარტონ საკუთრების ხელყოფის სავარაუდო სამართლებრივი შედეგების შესახებ.



პატივისცემით,  
ალხან ალიზადა  
შპს „აგარის შაქრის კომპანიის“ დირექტორი